აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 3

12 იანვარი 2009 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო გერბის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად:

უსკოს ბლანკი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: ბლანკი არის მართკუთხა ფორმის A 4 ტიპის, 210X297 მმ. და 11.5 გრ. თაბახის ფურცელი. ფურცელის ზევითა მარცხენა ნაწილში გამოსახულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი, რომლის მარცხენა მხარეს (დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც დგას ამ გერბის პირდაპირ)

გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის მარჯვნივ მითითებულია გამომცემი ორგანოს დასახელება სახელმწიფო ენაზე და ამავდროულად ინგლისურ ენაზე. გერბისა და გამომცემი ორგანოს დასახელების ქვემოთ გასმულია ლურჯი ფერის 5 მმ სიმაღლის ხაზი 10 სმ სიგრძის. ხაზის ქვემოთ მითითებულია ინდექსის ნომერი, გამოცემის რიცხვი თვე და წელი. ფურცელის ბოლოში, ბოლოდან 3 სმ ზევით გასმულია 18 სმ სიგრძის 0,5 მმ სიმაღლის ლურჯი ფერის ხაზი, ხაზის ქვემოთ მითითებულია უსკოს მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, როგორც სახელმწიფო ასევე ინგლისურ ენაზე. ფურცლის უკანა მხარეს ბოლო მარჯვენა კუთხეში მითითებულია ფურცელის რიგითი ნომერი.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ № 30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია